მოსკოვში გაიმართება ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონის წიგნის – „დოსტოევსკის სახარება“ პრეზენტაცია



2021 წლის 22 ივნისს ვ. ი. დალის სახ. რუსეთის ლიტერატურის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის ცენტრალურ შენობაში გაიმართება მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის, წმინდა მოციქულთასწორთა კირილესა და მეთოდეს სახ. ზოგადსაეკლესიო ასპირანტურისა და დოქტორანტურის (ზსად) რექტორის, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონის წიგნის – „დოსტოევსკის სახარება“ პრეზენტაცია.

„პატარა ბიჭივით კი არ მწამს და ვაღმსარებლობ ქრისტეს... ეჭვების მგზნებარე სახმილი გამოიარა ჩემმა

ოსანამ“, – წერდა დოსტოევსკი სიცოცხლის ბოლოს. ამ აღიარებაში თავმოყრილია მთელი მისი სულიერი გზის ერთობ რთული ისტორია, – გზის, რომელიც არის მოციქულისა და წინასწარმეტყველის გზა.

გამოჩენილი რელიგიური და საზოგადოებრივი მოღვაწის, მეცნიერისა და სულიერი მწერლის, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონის ახალ წიგნში, „დოსტოევსკის ისტორია“, იხილვება მწერლის სულიერი გზა – პირველი ნათელმოსილი გამოცხადებიდან დაწყებული, მისი მშობლიური სახლის წიაღში, მის მგზნებარე წინასწარმეტყველებამდე პუშკინის სიტყვაში, რომელიც უაღრესად შრომატევადი ცხოვრების ფინალში წარმოთქვა.

წიგნის ავტორი ფ. მ. დოსტოევსკის ბიოგრაფიის საკვანძო ეპიზოდების ახლებურ წაკითხვასა და აღქმას გვთავაზობს სახარებისეული ჭეშმარიტების შუქზე, რომელიც მისი შუქურა იყო მკვდარი სახლის ბნელ საპყრობილეში.

სახარება, რომელიც დოსტოევსკის ტობოლსკში დეკაბრისტების ცოლებმა აჩუქეს, მისი გადამრჩენი აღმოჩნდა არა მხოლოდ ომსკის სატუსაღოში მძიმე განსაცდელების ჟამს, არამედ შემდგომ წლებშიც. სწორედ სახარების ნათელზე ააგო მან თავისი „მრწამსი“: „მწამს, რომ არაფერია ქრისტეზე ბრწინვალე, ღრმა, სიმპათიური, გონიერი, მამაცი და სრულყოფილი“. სწორედ ქრისტე, კაცობრიობის ეს „საუკუნითგან მარადსაუკუნოვანი იდეალი“ გახდა მისი მხატვრული სამყაროს ცენტრი. ქრისტეს ხასიათით დაამშვეებს ის შემდგომში თავის საყვარელ გმირებს; ირწმუნებს რუს ჭაბუკში განხორციელებული რუსი ქრისტეს შესაძლებლობებს; იოცნებებს მასზე და მისით აღაფრთოვანებს საკუთარ მკითხველებს.

მიტროპოლიტ ილარიონის წიგნში, დოსტოევსკის მიერ მოუღლელი შრომის შედეგად დაუნჯებული მთელი ეს სულიერი სიმდიდრე, გადმოცემულია მთელი სისავსითა და სიკაშკაშით, მწყემსის გამჭოლი და გამოზომილი სიტყვით.

პრეზეტანციაში მონაწილეობას ასევე მიიღებენ ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი დ. პ. ბაკი, დოსტოევსკის საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტი ვ. ნ. ზახაროვი, ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის „ფ. მ. დოსტოევსკის ბინა-მუზეუმის“ განყოფილების გამგე პ. ე. ფოკინი, დოსტოევსკის ფონდის პრეზიდენტი ი. ლ. ვოლგინი.

მისამართი: ქ. მოსკოვი, ზუბოვის ბულვარი სახ. 15, შენ. 1.
ღონისძიების დასაწყისი 17.00 სთ.
კონტაქტები მასმედიისთვის: ალექსანდრე ავდეევი, +7 926 859-45-50, **avdeev@goslitmuz.ru**

სსკგ კომუნიკაციების სამსახური

გაზიარება:

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87481/